სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

სამუშაო აღწერილობა	
1. ზოგადი ინფორმაცია	
სახელი და გვარი	
პოზიციის დასახელება	პროფესიული განათლების მაწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი
სტრუქტურული ერთეული/განყოფილება	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	➢ დირექტორი ➢ სასწავლო პროცესის მენეჯერი
დაქვემდებარებული პერსონალი	არ ყავს

2. ფუნქცია-მოვალეობები

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

- ➢ ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები/ სწავლება შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად;
- ➢ დაგეგმოს და განახორციელოს პროფესიული სტუდენტის შეფასება/განმორებითი შეფასება და ობიექტურად ჩაატაროს შეფასების პროცესი.
- ➢ შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობა;
- ➢ პროფესიული საგანმანალებლო პროგრამების საფუძველზე კალენდარული გეგმების,შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და წარდგენა ,მოდულის დასრულების შემდგომ შეფასების მტკიცებულებების გადაცემა სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის .
- ➢ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის/ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა;
- ➢ მონაწილეობა პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში. მონაწილეობს სასწავლო გეგმების შემუშავებაში;
- ➢ უზრუნველყოფს სასწავლო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოებას;
- ➢ პერსონალური მონაცემების დაცვით პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების გაცნობა.
- ➢ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან /და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული ან/და სხვა ობიექტორი გარემოებების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება;
- ➢ შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად;
- ➢ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა და დამატებითი კონსულტაციების გაწევა;
- ➢ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ჟურნალის წარმოება;
- ➢ პროფესიულ სტუდენტებში ცოდნის, პროფესიული უნარ - ჩვევებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ➢ მონაწილეობს საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში;

- მონაწილეობს დარგობლივი კათედრების მუშაობაში;
- სამსახურებრივი დოკუმენტების მოწესრიგება და მათში ასახული ინფორმაციის დაცვა;
- კომფორტული, უსაფრთხო, ინტერაქტიული სასწავლო გარემო შექმნა;
- იზრუნოს პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციიის გაზრდაზე სასწავლო პროცესში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურისთვის;
- შრომითი ხელშეკრულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება;
- <u>დირექტორის მითითებით,</u> კოლეჯის საქმიანობის გათვალისწინებით, სხვა დავალებების შესრულება;
- ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის წინაშე;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელი:

- ზრუნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხოციელებაზე;
- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში .
- კოორდინაციას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას,საჭიროების შემთხვევაში ახდენს წინადადებების ინიცირება/წარდგენას საგანმანათლებლო, ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმის პროგრამის განვითარების მიზნით მასში ცვლილებების განხორციელებისთვის, სასწავლო პროცესის მენეჯერთან.
- იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობაზე;
- იზრუნოს პროგრამის სასწავლო რესურსის გაუმჯობესებაზე;
- ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას;
- იზრუნოს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაზე;
- ორგანიზება გაუწიოს კალენდარული გეგმების მომზადებას;
- მონაწილეობს ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესში.
  ხელი შეუწყოს პროგრამის ადამიანური რესურსების განვითარებას(მომზადება,გადამზადება,კვალიფიკაციის ამაღლება);
- ზრუნავს სასწავლო გეგმების გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში გადამუშავებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას;
- ჩართულია ფორმალური განათლების აღიარების პროცესში;
- იზრუნოს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე;
- პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება დარგობლივი კათედრების სხდომებზე;
- პროგრამის ხელმძღვანელის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება	➢ უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლევ 3 (სამი) წლის გამოცდილება ➢ პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.	
სამუშაო გამოცდილება	----	
კომპეტენციები	➢ სასურველია სამსახურებრივ ფუქნციებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცოდნა;	
უნარები	➢ გუნდური მუშაობის უნარი ➢ შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა	
4. სამუშაოს შესასრულებლად რეკომენდირებული კომპიუტერული პროგრამები და ენების ცოდნის დონე.		
კომპიუტერული პროგრამები	➢ საოფისე პროგრამების ცოდნა	
ენები	➢ სახელმწიფო ენის ცოდნა,გამართულად წერისა და მეტყველების უნარი	
5. დამატებით ინფორმაცია		
სამუშაოს ადგილმდებარეობა	სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ#111,პრაქტიკის ობიექტი.	
სამუშაო პირობები	საათობრივი დატვირთვისა და სასწავლო ცხრილის შესაბამისად ან/და შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით, მაგრამ,სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.	
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	➢ სამუშაო მაგიდა ➢ საკანცელარიო საშუალებები	
დასაქმებულის ხელმოწერა		თარიღი:
დამსაქმებლის ხელმოწერა		თარიღი: